ბლუმის ტაქსონომია და მისი გამოყენება საგაკვეთილო პროცესში

სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია. მოსწავლე უნდა გასცდეს მასალის უბრალოდ დამახსოვრებას, გაზეპირებას. კერძოდ, მან ცოდნის დაგროვებასთან ერთად უნდა შეძლოს ამ ცოდნის გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და ბოლოს, შეფასება. ამ დროს მოსწავლე არა მხოლოდ ფლობს ინფორმაციას, არამედ მას შეუძლია ქმედება, აზროვნების აქტივაცია.

გაკვეთილი რომ სახალისო და ინტერაქციულ პროცესად მექცია, ავირჩიე თემა: ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“. ჩემი მიზანი იყო ნაწარმოებში დასმული პრობლემის, თათქარიძეობა საზოგადო ჭირია, გამოკვეთა და მოვლენათა იმ ჯაჭვის იდენტიფიცირება, რომლისგანაც შედგება აღნიშნული პრობლემა. შედეგად მოსწავლეები შეძლებენ ნაწარმოებში ასახული პრობლემის წარმოჩენას მთავარი პერსონაჟის თვისებათა გაანალიზებით და ამ პრობლემათა განხილვას სხვადასხვა პერსპექტივიდან. ზემოთ აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად გამოვიყენე ბლუმის ტაქსონომიის ექვსივე დონე.



ბლუმის ტაქსონომიის ქვედა დონის, **ცოდნის**, გასააქტიურებლად მოსწავლეებმა გამოიყენეს შესწავლილი ტექსტი და გონებრივი იერიშის საშუალებით ჩამოაყალიბეს თათქარიძეობის შემადგენელი ჯაჭვის თითოეული კომპონენტი: სიზარმაცე, თვითკმაყოფილება, თვალთმაქცობა, გაუნათლებლობა, ტყუილზე აგებული არსებობა, კვეხნა, ღორმუცელობა, სრული უნაყოფობა.

მოსწავლეებმა ტექსტობრივი ცოდნით გაამყარეს ამ ჯაჭვის თითოეული რგოლი, მიმოიხილეს ტექსტი დასვეს შეკითხვები, გამოთქვეს ვარაუდები და მოლოდინები.

გაგება: იმისთვის, რომ მოსწავლეებს უფრო მეტად გაეთავისებინათ ნაწარმოებში დასმული პრობლემათა ჯაჭვიდან ერთ-ერთი რგოლი - ლუარსაბის დამოკიდებულება განთლებისადმი, დავგეგმე მხატვრული ფილმის „კაცია-ადამიანი?!“ ფრაგმენტის ჩვენება, რომელშიც ლუარსაბი საუბრობს განათლებაზე, როგორც „ეხლანდელ ჭირზე“. ეს ეპიზოდი მოსწავლეებმა ახსნეს საკუთარი სიტყვებით, განმარტეს ქვეტექსტური ინფორმაცია, რომელიც ნაწარმოებში არსებულ ეპიზოდს უკავშირდება.

გამოყენება: მოსწავლეებმა განსაზღვრეს, რა გრამატიკულ საშუალებებს იყენებს ავტორი მხატვრული ეპითეტების შესაქმნელად. განიხილეს ანდაზები და მათი გამოყენების მართებულობა კონტექსტის მიხედვით.

ანალიზი: ბლუმის ტაქსონომიის ამ ეტაპზე ვიმსჯელეთ თათქარიძეობის, როგორც პრობლემის, გამომწვევ მიზეზებსა, შედეგებზე და მათ შორის კავშირზე. ამ აქტივობის განსახორციელებლად გამოვიყენე კოგნიტური სქემა: მიზეზ-შედეგობრიობის რუკა. (იხ. დანართი 1)

სინთეზი: მოსწავლეებს ვყოფ სამ ჯგუფად, თითოეულ ჯგუფს ვურიგებ ბარათებს შესაბამისი დავალებით.

პირველი ჯგუფი - ლუარსაბი და განათლება;

მეორე ჯგუფი - ლუარსაბი და თანამედროვეობა;

მესამე ჯგუფი - თანამედროვეობა და განათლების პრობლემა;

მოსწავლეებმა დავალების შესაბამისად უნდა იმსჯელონ, რა როლი ითამაშა გაუნათლებლობამ ლუარსაბის ცხოვრებაში. გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება წიგნიერებისა და განათლებისადმი. დააკავშირონ ეს პრობლემა თანამედროვე ცხოვრებასთან, დღევანდელ რეალობასთან და განიხილონ იგი სხვადასხვა პერსპექტივიდან.

შეფასება: ბლუმის ტაქსონომიის უმაღლეს ფაზაზე გამოვიყენე აქტივობა 3; 2; 1 მოდიფიცირებული სახით. მოსწავლეებმა ჟურნალისტური პოზიციიდან დასვეს სამი ყველაზე მწვავე კითხვა, ყურადღება გაამახვილეს მათთვის მიუღებელ 2 უმთავრეს პრობლემაზე და თავად აირჩიეს საშინაო დავალებად ერთი ესეს სათაური.

ამრიგად, გაკვეთილზე ბლუმის ტაქსონომიის ყველა დონის ამოქმედებამ საშუალება

მომცა მიმეწოდებინა მოსწავლეებისთვის კონსტრუქციული უკუკავშირი, მეთანამშრომლა მათთან პრობლემათა გადასაჭრელად. მნიშვნელოვანი იყო არა მარტო პოზიციის გადმოცემა, არამედ ამ პოზიციის განმარტება და დასაბუთება. მოსწავლეები გაკვეთილზე მრავალფეროვან სააზროვნო აქტივობებში იყვნენ ჩართულები, გამოიყენეს სხვადასხვა უნარები, რომ გადაეჭრათ ამოცანა, რომელსაც ითხოვდა მათგან მასწავლებელი. ბლუმის ტაქსონომიის გამოყენება საგაკვეთილო პროცესში მეხმარება სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და დასახული სასწავლო მიზნების უკეთ განხორციელებაში.

დანართი 1.



ქ. რუსთავის სსიპ N9 სკოლის ქართული ენისა
და ლიტერატურის პედაგოგი ირმა წაქაძე.